თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის
VA[A]DS
არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე
მისაღები
კონკურსის, შემოქმედებითი ტურის სახით, მოთხოვნები
2024 წლის მიღებისათვის

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ორი წინაპირობა არის:
1.1.1 კონკურსის - შემოქმედებითი ტურის სახით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #19/ნ ბრძანების „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ #1 დანართის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე) წარმატებით დაძლევა და
1.1.2. ერთიანი ეროვნული გამოცდები (სამი სავალდებულო საგანი: 1. მათემატიკა ან ფიზიკა, 2. ქართული ენა და ლიტერატურა, 3. უცხო ენა).

1.2. სამი მისაღები გამოცდის (მათემატიკა/ფიზიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა) შეფასების წონები, აბიტურიენტის საბოლოო შეფასებისათვის, დგინდება კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ერთიანი ეროვნული გამოცდების კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ <u>მხოლოდ</u> ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით დაძლევენ კონკურსს - შემოქმედებით ტურს.

1.4. არქიტექტურის პროგრამაზე ჩაირიცხებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით დაძლევენ კონკურსს, შემოქმედებითი ტურის სახით, და ერთიანი ეროვნული გამოცდების სამ გამოცდას (მათემატიკა/ფიზიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).

1.5. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის გავლის გარეშე, მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად არ ჩაირიცხებიან არქიტექტურის პროგრამაზე.

1.6. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის წარმატებულით დაძლევად ჩაითვლება სამივე ეტაპის (იხ. მუხლის 1.12. პროტფოლიოების წინასწარი შერჩევა, გრაფიკული ტესტირება და პორტფოლიოს (ნამუშვრების) შეფასება) შედეგად, ჯამური შეფასების მიხედვით, კონკურსში მონაწილეთა შორის (მოიცავს მათ, ვინც კომპეტენციის ზღვარს ვერ გადალახავს), აბიტურიენტთა უკეთეს 85%-ში მოხვედრა (საანგარიშო რაოდენობა დგინდება მუხლი 1.7-ის მიხედვით).

1.7. აბიტურიენტთა საერთო საანგარიშო რაოდენობად ითვლება იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებიც III ეტაპზე - პორტფოლიოს (ნამუშვრების) შეფასების (წარდგენის და გასაუბრების) ეტაპზე მიიღებენ მონაწილობას.

1.8. თუკი, 2.3. პუნქტის შესაბამისად, აბიტურენტთა 85%-ზე ნაკლები გადალახავს III ეტაპზე კომპეტენციის ზღვარს, კონკურსის შედეგად დაიშვებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, ვინც კომპეტენციის ზღვარს გადალახავს.

1.9. თუ კი აბიტურიენტების უკეთესი 85%-ის რაოდენობა არ იქნება მთელი რიცხვი, რაოდენობის დამრგვალება მოხდება აბიტურიენტის სასარგებლოდ.

1.10. იმ აბიტურიენტების სია, რომლებმაც 1.4 პუნქტის შესაბამისად წარმატებით დაძლიეს კონკურსი, შემოქმედებითი ტურის სახით, გადაეგზავნება „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს“, რათა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ერთიანი ეროვნული გამოცდების კონკურსში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ ამ აბიტურიენტებმა.

1.11. პერსონალური ინფორმაციის დაცვის სტანდარტის გათვალისწინებით აბიტურიენტის შუალედური შეფასებები და კონკურსი - შემოქმედებითი ტურის საბოლოო შედეგები არ ხდება საჯარო და ეცნობება მხოლოდ აბიტურიენტს და ეროვნული გამოცდების მიზნებისათვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ეროვნული გამოცდების მიზნებისათვის.

1.12. კონკურსი - შემოქმედებითი ტური ტარდება სამ ეტაპად:
1.12.1. I ეტაპი: ატვირთული პორტფოლიოს (ნამუშვრების) შეფასება კომისიის მიერ და კონკურსზე - შემოქმედებითი ტურის შემდეგ ეტაპზე დაშვება.
1.12.2. II ეტაპი: გრაფიკული ტესტირება. შეფასება შეადგენს საბოლოო შეფასების 50%-ს.

1.12.3. III ეტაპი: პორტფოლიოს (ნამუშვრების) წარდგენა და გასაუბრება. შეფასება შეადგენს საბოლოო შეფასების 50%-ს.

1.13. აბიტურიენტი რომელიც არ გამოცხადდება კონკურსის - შემოქმედებითი ტურის ერთ-ერთ რომელიმე ეტაპზე არ შეფასდება.

მუხლი 2. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის შეფასების სისტემა

2.1. კონკურსის - შემოქმედებითი ტური, საერთო ჯამში, ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომლითაც დგინდება აბიტურიეტების რეიტინგი:
2.1.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-41 ქულა;
2.1.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 42-63 ქულა;
2.1.3. კარგი - 64-82 ქულა;
2.1.4. ძალიან კარგი - 83-100 ქულა.

2.2. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის II და III ეტაპის ქულები ჯამდება და გამოითვლება აბიტურიენტის ჯამური ქულა, რომელიც განსაზღვრავს მის შედეგს/რეიტინგს კონკურსში 1.6. პუნქტის შესაბამისად.

2.3. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს ჯამური 41 ქულა, ამასთან აბიტურიენტმა უნდა გადალახოს ორი ეტაპის - პორტფოლიოების შეფასების და გრაფიკული ტესტირების კომპეტენციის ზღვარი ცალკ-ცალკე. ჯამური 42 ქულა და მეტი ითვლება დადებით შეფასებად.

2.4. რექტორის ბრძანებით დგება კომისია, რომლის წევრების დამოუკიდებელი და კონფიდენციალური შეფასებების საფუძველზე და შემდეგ საშუალო შეფასების გამოთვლის შედეგად დგინდება აბიტურიენტის ფორმალური საბოლოო შეფასება.

მუხლი 3. პორტფოლიოების შერჩევა (I ეტაპი)

3.1. პირველ ეტაპზე კომისიის მიერ მოხდება პორტფოლიოების პირველადი შეფასება ფორმალურ შესაბამისობაზე მე-6 მუხლის და მე-5 მუხლის 5.8.1.; 5.8.2; 5.8.3; 5.8.4. პუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი პროტფოლიოების უკეთესი 85%-ის ავტორები დაიშვებიან II ეტაპზე (გრაფიკულ ტესტირებაზე).

3.1.1. თუ კი აბიტურიენტების უკეთესი 85% რაოდენობა არ არის მთელი რიცხვი, რაოდენობის დამრგვალება მოხდება აბიტურიენტის სასარგებლოდ.
3.1.2. თუ კი აბიტურიენტების 85%-ზე ნაკლები რაოდენობა დაამაყოფილებს პორტფოლიოს ფორმალურ მოთხოვნებს ან არ მიიღებენ დადებით შეფსებას მუხლი 5-ის მიხედვით, II ეტაპზე დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი პორტფოლიოს ავტორები.

3.2. III ეტაპზე (პორტფოლიოს წარდგენა და გასაუბრება) დაიშვებიან ის აბიტურიენტები, რომლებიც II ეტაპზე (გრაფიკულ ტესტში) მუხლი 3-ის მიხედვით მიიღებს დადებით შეფასებას.

მუხლი 4. გრაფიკული ტესტი (II ეტაპი)

4.1. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის II ეტაპი - გრაფიკული ტესტი, წარმოადგენს შეფასების 50 ქულას. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა. 21 ქულა და მეტი ითვლება დადებით შეფასებად.

4.2. ტესტირებაზე ფასდება აბიტურიენტის სივრცითი აზროვნების და სამგანზომილებიანი აღქმის გრაფიკულად გადმოცემის უნარი.

4.3. ტესტირება მოიცავს 5 გეომეტრიულ-სივრცით ამოცანას, თითოეულს დაეთმობა დაახლოებით 15-15 წუთი. სამი სავარჯოში ფასდება 8 ქულით (ამოცანა ერთი სწორი პასუხით) და ორი სავარჯიშო 13 ქულით (ამოცანა ერთზე მეტი სწორი პასუხით).

4.3.1. 8-ქულიანი სავარჯიშო ფასდება შემდეგი სისტემით:
4.3.1.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-3 ქულა;
4.3.1.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 4–6 ქულა;
4.3.1.3 კარგი 7-8 ქულა.

4.3.2. 13-ქულიანი სავარჯიშო ფასდება შემდეგი სისტემით:
4.3.2.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-5 ქულა;
4.3.2.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 6–9 ქულა;
4.3.2.3. კარგი - 10–11 ქულა;
4.3.2.4. ძალიან კარგი 12-13 ქულა.

4.4. ტესტირების 5-ვე გეომეტრიულ-სივრცითი ამოცანის ქულების ჯამი წარმოადგენს კონკურსის - შემოქმედებითი ტურის მეორე ეტაპის აბიტურიენტის შეფასებას.

4.5. აბიტურიენტებს ტესტირება ჩაუტარდებათ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

4.6. ტესტირების დროის შესახებ აბიტურიენტებს ეცნობებათ დამატებით.

4.7. ტესტირებაზე აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

4.8. ტესტირებისას აბიტურიენტები მობილურის და სხვა დამხმარე - ტექნიკურ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებისას/გამოყენების მცდელობისას, ასევე სხვა აკადემიური არაკეთილსინდისიერების (მცდელობის) შემთხვევაში, სხვისი დახმარების, ან სხვისგან დახმარების მიღების (მცდელობის) შემთხვევაში, დისკვალიფიცირებული იქნებიან კონკურსიდან - შემოქმედებითი ტურიდან.

4.9. II ეტაპის - გრაფიკული ტერიტრების წარმატებით დაძლება არის III ეტაპზე მონაწილოების წინაპირობა. III ეტაპზე მოწვეულები იქნებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით დაძლევენ II ეტაპს.

მუხლი 5. პორტფოლიოს წარდგენა და გასაუბრება (III ეტაპი)

5.1. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის III ეტაპი - პორტფოლიოს წარმოდგენა და გასაუბრება, წარმოადგენს შეფასების 50 ქულას. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა. 21 ქულა და მეტი ითვლება დადებით შეფასებად.

5.2. გასაუბრებაზე აბიტურიენტი წარმოადგენს კომისიის წინაშე მინიმუმ იმავე შემადგენლობის პორტფოლიოს, რაც აბიტურიენტმა ატვირთა (მოთხოვენები პორტფოლიოს მიმართ იხილეთ მე-6 მუხლში).

5.2.1. ამასთან, სასურველია და აბიტურიენტს შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი ნამუშევრები კომისიასთან გასაუბრებისათვის.

5.3. მაკეტი/მოდელი წარმოდგენილი უნდა იყოს გასაუბრებაზე.

5.4. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის პროცესში დგინდება პორტფოლიოს ავთენტურობა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული დამოუკიდებლად აბიტურიენტის მიერ, სხვისი პირდაპირი შემოქმედებითი და ტექნიკური ჩარევის და დახმარების გარეშე.

5.5. გასაუბრების პროცესში აბიტურიენტს შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი შემოქმედებითი ამოცანა (ჩანახატი/სკეჩი), რომელიც ცალკე შეფასების საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ გამიზნულია აბიტურიენტის უნარების უკეთ გამოვლენისთვის, ნამუშევრების ავთენტურობის დასადგენად და კომისიის მოსაზრების უკეთ ფორმირებისათვის.

5.6. პორტფოლიო ფასდება ორი პროცესის კომბინაციის შედეგად: პორტფოლიოს შეფასება და გასაუბრება.

5.7. პორტფოლიო ფასდება 50-ქულიანი სისტემით, რომელშიც:
5.7.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-20 ქულა;
5.7.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 21-32 ქულა;
5.7.3. კარგი - 33-41 ქულა;
5.7.4. ძალიან კარგი - 42-50 ქულა.

5.8. პორტფოლიოს შეფასება და გასაუბრება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

5.8.1. ინოვაციურობა და შემოქმედებითობა: 10 ქულა
5.8.1.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-5 ქულა;
5.8.1.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 6-7 ქულა;
5.8.1.3. კარგი - 8-9 ქულა;
5.8.1.4. ძალიან კარგი - 10 ქულა.

5.8.2. სივრცითი აზროვნება (სამგანზომილებიანი მოცულობის აღქმა, კომპოზიციის, პერსპექტივის და შუქ - ჩრდილების საბაზო პრინციპების ფლობა): 10 ქულა
5.8.2.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-5 ქულა;
5.8.2.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 6-7 ქულა;
5.8.2.3. კარგი - 8-9 ქულა;
5.8.2.4. ძალიან კარგი - 10 ქულა.

5.8.3. სივრცითი იდეის სისტემური განვითარების უნარი: 10 ქულა
5.8.3.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-5 ქულა;
5.8.3.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 6-7 ქულა;
5.8.3.3. კარგი - 8-9 ქულა;
5.8.3.4. ძალიან კარგი - 10 ქულა.

5.8.4. შესრულების ტექნიკური უნარები: 10 ქულა
5.8.4.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-5 ქულა;
5.8.4.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 6-7 ქულა;
5.8.4.3.კარგი - 8-9 ქულა;
5.8.4.4.ძალიან კარგი - 10 ქულა.

5.8.5. კომუნიკაციის უნარები და მოტივაცია: 10 ქულა
5.8.5.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-5 ქულა;
5.8.5.2. (ნაწილობრივ) დამაკმაყოფილებელი - 6-7 ქულა;
5.8.5.3.კარგი - 8-9 ქულა;
5.8.5.4.ძალიან კარგი - 10 ქულა.

5.9. თუ საკონკურსო კომისია დაადგენს, რომ პორტფოლიოს ნამუშევრები შეიცავენ პლაგიატს (სხვისი ნამუშევრის საკუთრად გასაღება, სხვისი მონაწილეობით შესრულებული ნამუშევრის საკუთრად გასაღება) - აბიტურიენტი ფასდება 0 ქულით და დისკვალიფიცირებული იქნება კონკურსიდან - შემოქმედებითი ტურიდან.

5.10. გასაუბრებაზე აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

მუხლი 6. მოთხოვნები პორტფოლიოს (ნამუშევრების) მიმართ

6.1. აბიტურიენტი ელექტრონულად წარადგენს პორტფოლიოს რომელიც შედგება 8 ნამუშევარისგან.

6.2. პორტფოლიო ციფრულად უნდა იყოს წარმოდგენილი/ატვირთული.

6.3. ნამუშევარი (ვიდეოს გარდა) უნდა იყოს წარმოდგენილი jpg ფორმატით.

6.4. შემოქმედებითი ტურის პროცესში ასევე დგინდება პორტფოლიოს ავთენტურობა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული დამოუკიდებლად აბიტურიენტის მიერ, სხვისი პირადაპირი შემოქმედებითი და ტქნიკური ჩარევის ან დახმარების გარეშე.

6.5. არ დაიშვება ჯგუფური ნამუშევრები.

6.6. ნამუშევრებში უნდა ჩანდეს, რომ აბიტურიენტს აქვს ზოგადი სივრცითი აზროვნების უნარი, შეუძლია განავითაროს იდეა სისტემურად ჩანახატებიდან, ნახაზებიდან - სივრცით

მაკეტამდე/მოდელამდე. ასევე აქვს სამგანზომილებიანი მოცულობის აღქმის უნარი, ფლობს კომპოზიციის, პერსპექტივის და შუქ-ჩრდილების საწყის პრინციპებს.

6.7. წარმოდგენილი ნამუშევრები არ უნდა მოიცავდეს კერძო გაკვეთილების ფარგლებში, ან სხვაგვარად ხელმძღვანელობის ქვეშ შესრულებულ დავალებებს/სავარჯიშოებს/ნამუშევრებს (მაგალითად: თაბაშირის ფიგურები/ასლები, ნატურმორტები, საინჟინრო გრაფიკის სავარჯიშოები/ნამუშევრები). ასეთი ნამუშევრები არ განიხილება და არ ჩაითვლება წარმოდგენილი ნამუშევრების რაოდენობაში.

6.8. ნამუშევრები უნდა იყოს აბიტურიენტის მიერ დამოუკიდებლად, სხვის მონაწილეობის გარეშე შესრულებული. ასევე არ უნდა იყოს გამოყენებული სხვისი ნამუშევრების, ან სხვისი ნამუშევრის ელემენტები. თუ საკონკურსო კომისის გაჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ პორტფოლიოს ნამუშევრები შეიცავენ პლაგიატს (სხვისი ნამუშევრის საკუთრად გასაღება, სხვისი მონაწილეობით შესრულებული ნამუშევრის საკუთრად გასაღება) - აბიტურიენტი ფასდება 0 ქულით და დისკვალიფიცირებული იქნება კონკურსიდან - შემოქმედებითი ტურიდან.

6.9. ნამუშევრები შეიძლება შესრულებული იყოს ნებისმიერი ტექნიკით: კომპიუტერული გრაფიკით შესრულებული ნამუშევარი, ფოტო, ვიდეო, გრაფიკული ან ფერწერული ნახატი, ჩანახატი, ნახაზი, ნებისმიერ მასალაში შესრულებული მოდელი/მაკეტი და სხვა. ნამუშევრები შეიძლება შესრულებული იყოს ასევე სხვადასხვა ტექნიკის კომბინაციით.

6.10. ვიდეოს შემთხვევაში, ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. მაკეტის ან მოდელის გაბარიტები არ უნდა აღემატებოდეს 80 x 80 x 80 სმ-ს.

6.11. წარმოსადგენი 8 ნამუშევრიდან:
6.11.1. 5 ნამუშევარი უნდა იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნამუშევრები აბიტურიენტის მიერ შერჩეულ თემაზე და მისი შერჩეული ნებისმიერი ტექნიკით;
6.11.2. 3 ნამუშევარი უნდა იყოს ერთი თემის/ნამუშევრის განვითარების ამსახველი: ჩანახატების ან/და ნახაზების ან/და სქემების და მაკეტის (ფოტოების ან ვიდეოს) სახით;
6.11.2.1. იმისათვის, რომ ერთი თემის/ნამუშევრის განვითარება შეფასდეს აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი მაკეტი/მოდელი.

6.12. ბმული პორტფოლიოს ციფრულად ატვირთვისთვის, აბიტურიენტებს დამატებით მიეწოდებათ უნივერსიტეტის მიერ.

6.13. იმ შემთხვევაში, თუ ერთი აბიტურიენტის მიერ აღმოჩნდება ერთზე მეტი ატვირთული პორტფოლიო, განხილული და შეფასებული იქნება ამ აბიტურიენტის მიერ ბოლოს ატვირთული პორტფოლიო.

6.14. ციფრულად ატვირთული ერთი ნამუშევრის სხვადასხვა რეპრეზენტაცია ითვლება ერთ ნამუშევრად.

6.15. თუ ნამუშევრის ორიგინალი ხელმოწერილია, ატვირთულ ნამუშევარზე ხელმოწერა უნდა იყოს დაფარული ტექნიკური საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ნამუშევარი არ შეფასდება.

6.16. კერძო გაკვეთილების ფარგლებში, ან სხვაგვარად ხელმძღვანელობის ქვეშ შესრულებულ დავალებები და ნამუშევრები არ შეფასდება და არ ჩაითვლება ნამუშევართა რაოდენობაში.

6.17. თუ აბიტურიენტი ციფრულად ატვირთავს 8-ზე ნაკლებ ნამუშევარს (მაგრამ არანაკლებ 5-ს, რომ პორტფოლიო განხილული იქნეს), ამ შემთხვევაში მის შეფასებას დააკლდება ყოველ დაკლებულ ნამუშევარზე შეფასების 6 ქულა (მაქსიმალური 50-დან).

6.18. თუკი ერთი თემის/ნამუშევრის განვითარების ილუსტრაციისათვის არ არის წარმოდგენილი მაკეტი/მოდელი, ამ თემის სხვა ნამუშევრები შეფასებისათვის არ განიხილება და აბიტურიენტს დაკლდება სამი ნამუშევრის 18 ქულა.

6.19. 5-ზე ნაკლები ნამუშევრის ატვირთვის შემთხვევაში პორტფოლიო არ განიხილება, არ ჩაითვლება აბიტურიენტთა საანგარიშო რაოდენობაში და აბიტურიენტი დისკვალიფიცირებულია შეფასების შემდგომი პროცესებიდან.